51

წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. ხუთშაბათი, 25 ივნისი 1915 წ. № 28

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ელ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76,

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე), და ეღირება 5 მანეთი.

„საქართველოს" კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო" 1 ივლისიდან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 50 კ., 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ.

მოვაგონებთ „კლდის" იმ ხელის მომწერთ, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო" გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლისამდე.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело", Московская, 4 поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

„ახალი კლუბის" მამასახლის. საბჭო

ამით აუწყებს კლუბის წევრთ, რომ 30 ამა ივნისს საღამოს 8 საათზე კლუბის დარბაზში დანიშნულია წევრთა

საგანგებო კრება

განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები:

1) ნახევარი წლის ანგარიში,
2) მიმდინარე საქმეები და
3) არჩევნები კლუბის წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა.

პირველხარისხოვანი

„კაფე ბორდო"

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.

ჩაია, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე დილის 9 საათიდან 12 საათამდე. სადილი 1—6 საათამდე. **სადილი** 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენერბური საჭმელები: ხარჩო, ლომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინვი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროჟკები". თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

პატივისცემით **რაჟდენ იოსელიანი.**

◆ ◆ **გამოვიდა ახალი ქართული წიგნი** ◆ ◆

პედაგოგიურ კითხვების გარშემო

ვას. ჯაფარიძისა და იაკ. ზედგინიძისა

ფასი 20 კაპ. 5—1

გამოცდილი მასწავლებელი ქალი

ღებულობს და ამზადებს პირველ და მეორე კლასისთვის ქალ-ვაჟს ყველა საშუალო სასწავლებლისას. აგრეთვე ამზადებს, ხელმისაწვდომ ფასებში, ვისაც განმეორებითი გამოცდა ექნება. შეიძლება სახლში მიწვევაც. **მისამართი:** კირპიჩნის შესახვევი, სახლი 12, ოთახი 9. 0—1

ირ. ევდოშვილის

სრული კრებული ხელის მოწერით ღირს ორი მანეთი. **მთელი შემოსავალი** მგოსანს გადაეცემა.

„საქართველოს" რედაქციაში (მოსკოვის ქუჩა № 4) მიიღება ხელის მოწერა. 0—1

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კადეტთა კორპუსის აგარაკში.

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

ქ. გორში

ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

თბილისი, 25 ივნისი.

სადღეისო.

უმაღლესი რესკრიპტი სახელმწიფო სათათბიროს მოწვევას ომს უკავშირებს და გაკვრით იმ მოტივსაც იხსენიებს, რომელსაც საზოგადოებრივი აზრი სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის უმთავრეს მიზეზად სთვლიდა. რაც დრო გადის და მდგომარეობა მწვავდება, ყველასათვის აშკარა ხდება, რომ საჭიროა ახალი მობილიზაცია, ინტენსიური ამუშავება საზოგადოებრივი ძალისა და ინიციატივისა, რომელმაც ასეთი სამსახური გაუწია და უწევს დღეს სახელმწიფოს. აშკარა ხდება ისიც, რომ საჭიროა ისეთ პირობათა შექმნა, სადაც ეს საზოგადოებრივი ძალა მეტს ნაყოფიერებას გამოიჩენს, საჭიროა უფლება და გარანტია საზოგადოების ფართო თვითმოქმედებისათვის. პრესამ, მოსკოვის ქალაქის საბჭომ ისტორიულ სხდომაზედ, მრეწველთა კრებამ და სხვა დაწესებულებათ ერთხმადა სცნეს და აღიარეს, რომ მხოლოდ ეს გზა, გზა საზოგადოებრივ პოლიტიკურ უფლებათა გაფართოვებისა—არის გზა ხსნისა საერთო მდგომარეობიდან. აშკარად ითქვა ისიც, რომ არსებული წესი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებისა სრულიად არ შეეფერება უმაგალითო ომის მიერ შექმნილ მდგომარეობას, რომ ომი ძალაუნებურად სცვლის, ამოჰყავს კალაპოტიდან ცხოვრება და ახალ გზას და მიმართულებას აძლევს მას. სახელმწიფო სათათბირომ უნდა იტვირთოს ეს და გამოსთქვას რაც აუცილებელ საჭიროებად გამხდარა ცხოვრებაში. ჩვენი ცხოვრება საერთო მსვლელობას ექვემდებარება და ადგილობრივ პოლიტიკურ და ეკონომურ პირობათა გამო უფრო მწვავედ განიცდის მის ნორმალურ გავლენას.

ომი ჩვენც მძიმე უღლად დაგვაწვა და მოკლებული კი ვართ იმ მცირე შეღავათსაც, რომელიც რუსეთმა საზოგადოებრივ თვითმოქმედების სახით მიიღო. ის, რაც შეიძლება ბევრისათვის საკამათო საგანს შეადგენდა დღემდე, დღეს ყველასთვის აშკარა გახდა და ითხოვს დაუყოვნებლივ მოვლა-პატრონობას. საერთო კრიზისის თავიდან ასაცდენად უეჭველად თავიდან უნდა აცილებულ იქმნეს ყველა ის ნაკლი, რომელმაც აშკარად თავი იჩინა ამ საერთო უბედურების დროს და რომელიც თავის ჭკუაზე მყოფ და სინიდისიან ადამიანისათვის პირდაპირ აუხსნელ ამოცანას შეადგენს.

ერობის უქონლობა, ადმინისტრატიული ოვითნებობა, საქართველოს ერთი საუკეთესო კუთხის დაცალიერება,

შიმშილი, სოფლის მოუწყობლობა, ამისათვის უუფლებობა, რომელიც ხუთავს ყოველივე საზოგადოებრივ თვითმოქმედებას,—ყველაფერი ეს ისეთი ნაკლია, რომ ნაყოფიერი მოქმედება დღევანდელ პირობებში შეუძლებელი გახდა.

გარდა ამისა, ჩვენ ცხოვრებაში თავი იჩინეს ისეთმა მოვლენებმა, რომელნიც უეჭველია შესაფერს პასუხს მოითხოვენ; ასეთი საკითხები უნდა ჩამოყალიბებულ იქმნენ გარკვეულ აზრად, რომლის განხორციელებას უნდა ემსახურებოდეს მთელი ჩვენი მოქმედება. ერი შეკავშირდა, წარმოადგინა ნათელი და გარკვეული ეროვნული იდეა და მის განმტკიცებისა და განვითარებისათვის შესაფერს მდგომარეობის პირობებს მოითხოვს. ეროვნულმა იდეამ აღიარა თავისი შესაფერი კულტურული უფლება ისტორიულ ტერიტორიაზე, მოითხოვს მის ხელშეუხებლობას უცხოთა მიერ თავის მომავალისათვის, რადგან ძნელი საფიქრებელია უტერიტორიოდ მომავალი ერისა, რომელმაც თავისი ისტორიული სახე მიწის და სამშობლოს სიყვარულით შეჰქმნა. ამავე ეროვნული იდეის განვითარებისათვის აუცილებელ საჭიროებად გადიქცა: ეროვნული სკოლა, დემოკრატიულად აშენებული თვითმართველობა, ეროვნული ეკლესიის თვითმწყემსობა, ეროვნული ზნისა და სამართლის პატივისცემა.

მეორე გამოაშკარავებული მოვლენა—სამხედრო ენერგია ქართველი ერისა, ორასი ათასი მეომარი ქართველი, რეალურ შესაძლებლობის სახეს აძლევს, მტკიცე სარჩულად ედება ამ ეროვნულ იდეას და ასრულების იმედს უღვივებს გულში. აი ის უახლოვესი საჭიროებანი და ის, ომის ალში გამოკვეთილი, სოციალურ-პოლიტიკური პერსპექტივა, რომლის გარშემო უნდა შეერთდეს ყველა ქართველი და რომელიც უნდა ითქვას ხალხის წარმომადგენელთა მიერ იქაც, საიდამაც რუსეთი მოელის სწორედ ამ ომის ალში გამოკვეთილ პერსპექტივის გამოთქმას.

არა მსურს...

(ვუძღვნი მებრძოლთ)

იგი ჩანგური აღარას მარგებს
უწინ რომ ნაზად დაიკვნესებდა;
ხან შეაქებდა მიჯნურს, ხან ვარდებს
და შემდეგ მყუდროდ განისვენებდა.

ჩემს სულს სწყურიან ბრძოლა მედგარი,
დაუნდობელი შურის ძიება;
მკლავდნენ—ვერ ვუძღვნა სამაგიერო?
ქართველს აროდეს ეპატიება!

ჰეი, ამაყნო ივერიელნო!
ჩემი სიმღერა აწ კი ეს არი:
არა მსურს ერი იქმნეს უბედო,
დამონებული მწარედ მკვნესარი!

სანდრო. შანშიაშვილი.

ომის დღიური

მიმოხილვა

ვისლიდან მოყოლებული დნესტრამდე გაჭიმულ ბრძოლის პირს რომ გადაავლოთ თვალი, ერთ რამეს მიაქცევთ უეჭველად ყურადღებას: ვისლიდან სოკალამდე ბრძოლის პირი ჩრდილო-აღმოსავლეთით არის მიმართული, ხოლო სოკალიდან დნესტრამდე—აღმოსავლეთით. ხაზი იმტვრევა სოკალსა და გრუბეშოვის შუა, და სწორედ აქ არის ჩარჭობილი ის სოლი, რომელიც ბრძოლის პირს რუსკა-რავასა და ჟოლკევიდან თან მოსდევს რუსის ჯარს. ამ სოლის მიმართულება ამტკიცებს, რომ ავსტრო-გერმანელებს სურთ გავიდნენ ხოლმის აღმოსავლეთით ვლადიმერ-ვოლინსკის გზით ერთის წვერით კოველამდე, სადაც თავს იყრის ხუთი რკინის გზა, ხოლო მეორე წვერით დუბნოს გზით—როვნომდე, სადაც ოთხი გზა ერთდება. ეს მოძრაობა მჭიდროდ არის დაკავშირებული გენ. მაკენზენისა და იოსებ ფერდინანდის მოძრაობასთან ხოლმ-ლიუბლინისკენ. მოპირდაპირე ცდილობს ამ ხაზზე გამოვიდეს და შეაერთოს ბრძოლის პირის გასწვრივ მიმავალი ხლართი რკინის გზებისა ივანგოროდიდან მოყოლებული ლიუბლინ-ხოლმ-კოველ-როვნომდე.

რა თქმა უნდა, რუსის ჯარი უკიდურესობამდე ეცდება ამ დიდი გზის წინ შეაჩეროს მოძრაობა მოპირდაპირისა, რომელიც დაჟინებით ცდილობს ჯერ ლიუბლინ-ხოლმის ხელში ჩაგდებას. ბრძოლა ამ ქალაქების სამხრეთით ჯერაც არ დასრულებულა. შეიძლება მხოლოდ იმის თქმა, რომ მთავარი დაკვრა მინდობილი აქვს კრასნიკსა და კრასნოსტავის შუა ლიუბლინისკენ მომავალ ჯარს, რომლის ცენტრი აწვება ბიხავას. ამ ჯარის მარჯვენა წვერისთვის რუსის ჯარს დიდი ზარალი მიუყენებია და შეუჩერებია მისი იერიშები. რუსის ჯარს მოუგერებია ავსტრო-გერმანელთა იერიშები აგრეთვე ბუგის მარცხენა ნაწილზე, ე. ი. მაკენზენის ჯარის მარჯვენა წვერის მოძრაობა შეუჩერებია. ეს მოხდა 21 ივნისს.

მ. ბ—ლი.

დეპეშები

თბილისი, 23 ივნისი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 21 ივნისს ზღვის ნაპირა რაიონში სროლა ჰხდებოდა. ჩვენმა მოტორიანმა ნავმა ოსმალების იალქანი ჩასძირა. შარიან-დაგის ქედიდან სამხრეთით ჩვენი ჯარი ოსმალეთის ქვეითი ჯარსა და ორ საფართა ესკადრონს შეეტაკა, რომელნიც შეიარაღებული იყვნენ ზარბაზნებით და ტყვიისმფრქვეველებით, ოსმალებმა დიდის ზარალით უკან დაიხიეს. ახლათიდან დასავლეთით ოსმალები სცდილობდნენ იერიში მოეტანათ მოდარაჯე რაზმზე, მაგრამ მათ ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

პეტროგრადი, 23 ივნისი. მთავარი შტაბის ოფიციალური მოხსენება. მურავიოვო-შავლის რაიონში, ნემანის დასავლეთით, ნარევის ფრონტზე და ვისლის მარცხენა ნაპირზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა. იშვიათი ცეცხლია. ხანგამოშვებით ჰხდება შეჯახება, განსაკუთრებით ნაღმების აფეთქების დროს. ვისლისა და დასავლეთის ბუგს შუა განსაკუთრებით დიდი ბრძოლა ხდებოდა. 21 და 22 ივნისს დილით სოფ. უზენდროვისა და ბიხოვის შუა. გერმანელთა იერიში შეჩერებულ იქმნა კრასნიკოს აღმოსავლეთით ვილკოლაზთან, სადაც რუსებმა დიდი ზარალი მიაყენეს. 22 ივნისს დილით ორი ათასი ტყვე ჯარისკაცი წამოიყვანეს, 24 აფიცრითურთ. ბრძოლის პირზე 2 ათასი გვამია. გერმანელთა ახალი ცდა, რომ იერიშები განეახლებინათ ვეპრუსა და დასავლეთ ბუგის შუა თუ სოფ. კრილოვზე, შეჩერებულ იქმნა 22 ივნისს. ბუგის ზემო ნაწილში, ზოლოტაია ლიპაზე და დნესტრზე 21 და 22 ივნისს შეჯახება არ მომხდარა.

ლონდონი, 22 ივნ. ლლოიდ-ჯორჯმა აუწყა პალატას, რომ 21 ივნისამდე 67,650 მუშა ჩაეწერა სამხედრო სურსათის საზიდველად.

ტენანტმა, იმის შეკითხვაზე თუ რატომ დარდანელთან ცუდად წავიდა ჩვენი სამხედრო მოქმედებაო, უპასუხა, რომ ასეთი უწყება სამხედრო სამინისტროს ჯერ არ მიუღია და, უნდა ვიიმედოთ, რომ იგი სინამდვილეს არ შეესაბამებაო.

პარიზი, 22 ივნისი. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ ფრანგთა და გერმანელთა მთავრობა შესთანხმდნენ, რომ მძიმედ დაჭრილი ტყვეები გასცვალ-გამოსცვალონ.

ლონდონი, 22 ივნისი. ინგლისელთა გემი „ანგლოკალიფორმენი" გაშლილ ზღვაში შეეტაკა გერმანელთა წყალქვეშას, რომელმაც სროლა აუტეხა. 12 კაცი, მათ შორის კაპიტანიც, მოკლულია, ბევრია დაჭრილი.

ქრისტიანია, 22 ივნ. შვედთა მთავრობამ პროტესტი განაცხადა, რომ ინგლისელებმა შეიპყრეს ნორვეგიის წყლებში შვედთა გემი „პორიუსი" და გერმანელთა „პალასი". ორთავე გემი უმალ გაანთავისუფლეს, რა წამს ნორვეგიელთა მოდარაჯე გემები გამოჩნდნენ.

პარიზი, 22 ივნისი. მთელმა დღემ შედარებით მშვიდობიანად ჩაიარა. აღსანიშნავია მხოლოდ გერმანელთა არტილერიის დაუღალავი მოქმედება მაასისა და მოზელის შუა. ლეპრეტრის ტყის რაიონი გერმანელთა მძიმე არტილერიის ცეცხლშია გახვეული.

პარიზი, 22 ივნისი. ოფიციალური ცნობა, დღის 3 საათი.

არასიდან ჩრდილოეთის რაიონში მოწინააღმდეგის ცდა იერიშების მოსატანად შეჩერებულ იქმნა დილის 10 საათზე. ერთი ნაწილი გერმანელთა ჯარისა სუშესთან პოზიციებზე მოდის იერიშებით, გერმანელები რამდენჯერმე გამოვიდნენ თხრილებიდან. იგინი შეიარაღებული იყვნენ ხელით სასროლ ყუმბარებით. მაგრამ იძულებულ იქმნენ გაგვშორებოდნენ. ბრძოლის ველზე მრავალი დახოცილი დარჩათ. მეორე იერიში ლაბირინტზე მოიტანეს, მაგრამ დაუყოვნებლივ შევაჩერეთ. ფეანგედან მეზელამდე 5 კილომეტრის მანძილზე გუშინ გერმანელებს დილით და საღამოთი ჩვენს ფრონტზე იერიში მოჰქონდათ. ფეანგედან აღმოსავლეთით და აგრეთვე ლეპრეტრის ტყის დასავლეთ ნაწილში ერთის კილომეტრის მანძილზე დიდის ბრძოლის შემდეგ გერმანელები ძველ თავიანთ ხაზზე გამაგრდნენ, რომელიც წინად ჩვენ გვეჭირა. ყოველ ღონეს ხმარობდნენ, მაგრამ წინ ველარ წამოიწიეს. უფრო აღმოსავლეთით კრუა-დე-კარმიდან გოდერიეპტამდე მოზელთან გერმანელების იერიში უშედეგო იყო. მოწინააღმდეგემ დიდი ზარალი მიიღო. ფრანგების საფოსტო გემი „კარტაჟი“ წყალქვეშა ნავის ნაღმით ჩაძირულ იქმნა ჰელესის კონცხთან 21 ივნისს. 66 კაცი გადაარჩინეს, 6 დაიღუპა.

22 ივნისს გერმანელების ორ წყალქვეშა ნავს ჩვენმა არტილერიამ ზარბაზნები დაუშინა. ერთ წყალქვეშა ნავს, ვიდრე წყალში ჩაიმალებოდა, რამდენიმე ტყვია მოჰხვდა.

პეტროგრადი, 23 ივნისი. საევაკუაციო და სასანიტარო მთავარ გამგის განკარგულება 23 ივნისს 1915 წელს. უმაღლესი ნებართვით მივემგზავრები რა 23 ივნისიდან ჩემ ავადმყოფობის განსაკურნებლად, სასანიტარო და საევაკუაციო გამგეობას ვანდობ სახელმწიფო საბჭოს წევრს შტალმეისტერ თავად ვასილჩენკოს. ყოველგვარი თხოვნები და და ქაღალდები მიიღება ჩვეულებრივი მისამართით, „პეტროგრადი ოლდენი“— ხელს აწერს გენერალ-ადიუტანტი პრინცი ალექსანდრე ოლდენბურგსკი.

პარიზი, 22 ივნისი. მუნიციპალურ საბჭომ გადასწყვიტა, ფრანგულ ჰიმნის „მარსელიეზი“-ს ავტორის რუჟ-დე-ლილას ნეშტი პანთეონში გადაიტანოს.

ნიუ-იორკი, 22 ივნ. ექიმების აზრით მორგანის ჭრილობა საშიში არ არის.

ლონდონი, 23 ივნ. გერმანიის წყალქვეშამ ჩასძირა ნორვეგიელთა ხომალდი „ფეიერსიკროსი“, რომელიც ერბოთი იყო დატვირთული. მეზღვაურები გადაარჩინეს.

სულონი, 23 ივნ. დემირგისარიდან იუწყებიან, რომ 18 ივნისს ოტცოვო და პეპერისტ შუა სესსის ვილაეტში კომიტაჯები ცდილობდნენ საბერძნეთის ტერიტორიაში შესვლას, მაგრამ უკუგდებულ იქმნენ.

რომი, 23 ივნ. ოფიციალურად უარყოფილია „კორესპონდენც-ბიურო“-ს ცნობა, თითქოს იტალიელი სანიტარები არღვევდნენ ჟენევის კონვენციას და საკაცეებით ტყვიისმტყორცნელები გადაჰქონდეთ. პირიქით, ჟენევის კონვენციას მტერი არღვევს, რადგანაც ის ზარბაზნებს უშენს სანიტარებს, რომლებიც ნეიტრალ ბაირაღის ქვეშ მოქმედებენ.

პარიზი, 23 ივნისი. ამერიკულ სავაჭრო პალატის მიერ გამართულ ბანკეტზე ვივიანმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელიც შემდეგის სიტყვებით დაახოლოვა: თუ განცდა გაგრძელდება, საფრანგეთი არასოდეს დაღლილობას და მორჩილებას არ იგრძნობს,—პირიქით, ის მეტის მედგრობით განაგრძობს თავის დიდებულ მოკავშირეებთან ერთად სტიქიურ ბრძოლას. საშინელ საშვალებებს გარეშე, როგორიც არის სავაჭრო გემების დაღუპვა უდანაშაულო მსხვერპლებით, ჩვენ შევმუსრავთ იმ მძიმე მახვილს, რომელიც მსოფლიოს სამართლიანობას ემუქრება.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუმინია და ბულგარეთი.

ამ ახლო წარსულში რუმინიამ ავსტრიას გადასცა დიდი პარტია ბენზინისა. მიუხედავად იმისა, რომ სასყიდელს მეტად კარგს აძლევდნენ, რუმინიამ უარი შეუთვალა ფულის მიღებაზე, სამაგიეროდ მოითხოვა სამხედრო იარაღი, ზარბაზნები, ტყვია-წამალი. რაკი ავსტრია-გერმანია დიდად ჰსაჭიროებენ ბენზინს, დაუყოვნებლივ დააკმაყოფილეს რუმინიის მოთხოვნილება. ამავე დროს მოლაპარაკება გაჩაღებული იყო ოსმალეთსა და ბულგარეთს შუა ხორბლის თაობაზე. ბულგარეთმა მიჰყიდა ხორბალი და ნაღდი ფულიც ჩაიჩხრიალა ოქროთი. ამის გარდა, ცნობებია, რომ ბულგარეთს ოსმალეთისთვის მიუყიდნია ზარბაზნები და ტყვია-წამალი. ამაშიც კარგი სასყიდელი მიუღია.

როგორც ამბობენ, ვაჭრობა მომხდარა არა თვით ბულგარეთის მთავრობის მიერ, არამედ ერთი ფრიად სახელოვანი სავაჭრო ამხანაგობის მიერ, რომელიც, უეჭველია, სოფიის კაბინეთის თანხმად მუშაობდა.

დიპლომატიურ წრეებში ლაპარაკობენ, რომ როდესაც სოფიაში მყოფს ერთს დიპლომატს შეუნიშნია პრემიერ მინისტრ რადოსლავოვისთვის—თუ ასე რატომ იქცევითო, მას უპასუხნია: რას ვიზამთ, ჩვენ აღმოსავლეთის ხალხი ვართ და აღმოსავლეთის პოლიტიკას ვაწარმოებთო. (რ. ს.)

გერმანელები ამერიკაში.

ამერიკის მთავრობამ გაიგო, რომ გერმანელები ამზადებენ მრავალ წყალქვეშას, რათა უფრო გააფართოვონ მეკობრობა და მოკავშირეთა გემები დაჰღუპონო. მთავრობა მეტად შეწუხებულია, რომ ძალღონე არ შესწევს აჰლაგმოს გერმანელთა თავგასულობა. ესენი ცხადად თუ ფარულად იძიებენ ყოველ წვრილმანს, თუ სად როდის რომელი გემი დაიძვრის, საით წავა, რა მიაქვს და სხვა. ოდნავი ამბავი საკმარისია, რომ ხელად ტელეგრაფით აცნობონ წყალქვეშას უფროსს შესაფერი ზომების მისაღებად. (რ. ს.)

გერმანელები თავს მართლულობენ.

„ლუზიტანიის“ დაღუპვის გარშემო ჯერაც არ გათავებულა პროტესტები, ამის გამო გერმანელები უპასუხებენ. „ეს ასე უნდა მომხდარიყო და ასეც მოხდება. გერმანელი ხალხი მოელის, რომ მისი ფლოტი სწორედ ასე მოიქცევა ყოველთვის. ამერიკელ კაპიტალისტების აზრი, მექარხნეთა და მეფაბრიკეთა ყიჟინა და წყევლა-კრულვა ჩვენ ვერ შეგვაშინებს, როგორც მათი სამხედრო იარაღის ჩხარა-ჩხურიო. (რ. ს.)

გერმანელები პოლონეთში.

გერმანელებს მათ მიერ დაპყრობილ პოლონეთში ბრძანება გაუციათ, დაუყოვნებლივ შეატყობინონ მთავრობას მკის შედეგები. აღკრძალულია სამხედრო პირების დაუკითხავად პურის გაყიდვა, აღკრძალულია აგრეთვე პოლონურ ენაზე წერილებისა და დეპეშების მიღება.

რუსეთი და შვეცია

„რუსკ. სლ.“ პეტროგრადიდან ატყობინებენ: იმედოვნებენ, რომ რუსეთის მთავრობის განმარტება, თუ როგორ მოუვიდა რუსეთის ესკადრას შვეციის წყლებში შესვლა, დააკმაყოფილებს სტოკჰოლმს,

მორგანის დაჭრა

მორგანის დამჭრელ გერმანელმა გოლტმა განაცხადა, რომ მან სიზმრად ღმერთი იხილა, რომელმაც უბრძანა მორგანის მოკვლა, რადგანაც უკანასკნელი მოკავშირეთ ფულით ეხმარებოდა. მორგანი ცნობილ მილიარდელ პირონტა მორგანის შვილია, რომელიც შარშან გარდაიცვალა. ომის დაწყებიდანვე ის ინგლისის მთავრობის წარმომადგენლობას კისრულობდა შეერთებულ შტატებში და ხელს უწყობდა დანარჩენ მოკავშირეთ. მორგანის შუამავალობით რუსეთის და საფრანგეთის მთავრობის დიდი ფინანსიური ოპერაცია მოხდა ამერიკაში. ბერნსტორფი და დერნბურგი ცდილობდნენ მორგანის სიმპატია გერმანიისკენ გადაეხარათ, მაგრამ ამაოდ. ამერიკის პრესა აღშფოთებულია ამ ბოროტგანზრახვით. მომხდარ უბედურების პასუხისმგებლობას ბერნსტორფს და დერნბურგს აკისრებენ და თან უცხადებენ, რომ ამერიკის მოთმინებას ბოლო ელებაო.

ოლთისის ბრძოლა.

ოლთისის ბრძოლის პირზე გერმანელი აფიცრები ხელმძღვანელობენ. თვითეულ კორპუსში ხუთი-ექვსი გერმანელი აფიცერია, რომელნიც ფაქტიურად შტაბის უფროსობას ასრულებენ. ამ ბოლო დროს მათ მოუვიდათ ვიღაც საგულისხმიერო პირი, რომელიც დაწვრილებით ათვალიერებს ბრძოლის პირის ყოველ კუთხეს. ოსმალნი კარგად არიან შეიარაღებულნი, ოღონდ სროლა არ იციან. (რ. ს.)

სურსათის საკითხი გერმანიაში.

„ბერ. ტაგებ.“ საჯაროდ აცხადებს, რომ დღეს გერმანიას აღარა უჭირს რა, ეხლა დიდძალი პური და კარტოფილი გვაქვსო. მოსავლის მოკრების შემდეგ, ამბობს გაზეთი, 9 მილიონით მეტი გვექნება, ვიდრე დღეს, ასე რომ განსაზღვრულზე თვითოეული სული ერთი პორციით მეტს მიიღებსო. ამნაირად, ინგლისელთა გეგმა და განზრახვა, რომ ჩვენ შიმშილით დავიხოცებით, სრული კატასტროფით დასრულდაო.

გაცრუებული მოლოდინი.

ვარშავიდან „ბირჟ. ვედომ.“ ატყობინებენ, რომ პოლონელთა ლეგიონი, რომელიც გალიციაში შესდგა, ამ ჟამად რავკაში სდგას. მათ სჯეროდათ ვილჰელმის უკანასკნელი დაპირება, რომ ვარშავა ივნისის ბოლოს (ახალი სტილით) აღებული იქნებოდა. როგორც ხმები დადის, ლეგიონის უფროსს, პოლკოვნიკ პილსუდცკის ვარშავაში მყოფ „მოლალატეთა“ [illegible] შეუგროვებია.

„რეჩის“ სამხედრო მიმომხილველი სწერს: ჩვენმა ჯარმა, მიუხედავად ათასგვარ დაბრკოლებისა, მამაცურად შეასრულა თავის დანიშნულება და პირველ პოზიციებიდან შემოიწია უკან. მოწინააღმდეგემ ვერ შესძლო ომში ჩაება ჩვენი ჯარი. მტრის მოძრაობას მიზნად აქვს მოსწყვიტოს ვისლის მარჯვენა ნაპირებში მყოფი ჯარი, ხელთ იგდოს რკი[illegible]ნის გზები, რომელიც ვისლას იმპერი[illegible] ცენტრს უერთებენ და შემდეგ თა[illegible] ჯარის რკინის ჯაჭვში მოამწყვდიოს ჩვენი ჯარი. ვარშავას რაიონი დიდ ბრძოლის ასპარეზად გახდება. ჩვენ დიდ მოვლენათა წინ ვიმყოფებით.

სამშობლოს სიყვარული

(ინდივიდური აზრი)

II

განსაზღვრულ ერისთვის უპირველე[illegible] საჭიროებას შეადგენს, რომ მისი შვილი ფიზიკურად ჯანსაღი, გამბედავი და ღონიერი იყოს, რომ შემთხვევისთვის ის სამშობლოს გამოადგეს, მებრძოლად, ჯარის კაცად. . . . . .

. . . .

. . . .

. . . .

ყველა ის, ვისაც ომი უსარგებლობის და მავნებლობის სინონიმად მიაჩნია. ომი საზოგადოდ საშინელებაა, მაგრამ უმიზეზო უსამართლო ომი ბოროტმოქმედებაა კაცობრიობისადმი. ბოროტმოქმედებაა არა მხოლოდ იმიტომ რომ ის ომია, არამედ უფრო იმიტომ რომ იგი უსამართლო და უმიზეზოა. ჩვენის აზრით, ერის არსებობის გამოსარკვევად უნდა ვისარგებლოთ სამართალით და თუ სამართალი ომს მოითხოვს, ნამდვილი მამულიშვილი არ უნდა გაურბოდეს მას. ხშირად გვსმენია შემდეგი წინადადება: „მოხდება ომი თუ არა?“ ჩვენ გვგონია რომ ასე საკითხის დაყენება ყოვლად შეუძლებელია. საკითხავი უნდა იყოს შემდეგი: შელახულია თუ არა რომელიმე ერის თავმოყვარეობა და დაცულია თუ არა სამართლიანობის კანონები? და თუ ერი[illegible] თავმოყვარეობა შელახულია და სამარ[illegible]თლიანობის კანონები შებღალული, მაშინ ყოველი ვაჟკაცი ერი, მიუხედავად ყოველგვარ რისკისა, საქვეყნოდ განაცხადებს—მე მსურს ომი და მიო მინდა

მოსე თოიძის მხატვრობის გამოფენა

II.

წინა წერილში მხოლოდ ორ სურათზე შევჩერდით. ეხლა გადავდივართ ისეთ სურათებზე, რომელთაც უფრო მკვეთრი ბეჭედი აზისთ იმპრესიონიზმისა, ვიდრე ამ ორს პირველს. ამ მხრივ საუცხოვო ნიმუშად უნდა ჩაითვალოს „ძველი ბაზარი“ (№ 1). ეს ტიპიური სურათი განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია თუნდა იმ მხრივ მაინც, რომ მის მზგავსი ჩვენს მხატვართა შორის ჯერ კიდევ არვის მოუცია. ამ სურათშივე მოსჩანს თოიძის პოეტური სულისკვეთება, რა თქმა უნდა, ფერთა ტონების ძიებაში, სწორედ აქ არის იგი ძალოვანი მუსიკოსი, აქ მოსჩანს ფიცხი ტემპერამენტი სამხრეთული ენერგიისა, რასაც შორიდან ჩრდილოელნი მხოლოდ ნატვრით შეტრფიან ხოლმე. ნუ მოელით ამ სურათმა ნაზი სიმფონია შეგასმინოთ. ღია და მკვეთრი ფერადები თქვენ ვერ მოგცემენ იმ ტკბილს მელოდიას, რაც დავინახეთ ბუნების „მესაიდუმლეში„ (№ 11). აქ ჩვენ ხელთა გვაქვს თუ შეიძლება ასე ითქვას, მხოლოდ მელოდიათა საუცხოვო ფრაგმანტები, ფერთა გასაოცარი კონტრასტების ბარბაროსული ორკესტრაცია. თოიძე აქ უაღრესად ვირტუოზია ეგზოტიურ კომპოზიციის ნიმუშის მოსაცემად.

საოცარია, რომ მხატვარმა ამ სურათში სივრცე-სინათლის სრული დეკომპოზიცია მოახდინა, მაგრამ ისე ხელოვნურად კი, რომ ეს გარემოება ოდნავაც ხელს ვერ გიშლით მთლიანი შთაბეჭდილება მიიღოთ. აქ ჩვენი მხატვარი სინათლის მაძიებელია par excellence. სინათლის ერთგვარი დემატერიალიზობით იგი ერთსა და იმავე დროს სულს უდგავს სურათს და ნათელი ელვარების სამოსელით ჰკვალთავს მას. აქ ფერადები არაჩვეულებრივი გარდამეტებით გადმოგვცემენ მღელვარე ტონებს, წითელ და მოლაჟვარდო ფერთა სიუხვეს. ჩვენ ამ სურათს შევყურებთ ერთგვარი ცნობისმოყვარეობით, როგორც ახალს აღმოჩენას; ჩვენი ცნობისმოყვარეობა თანასწორია პსიხოლოგიის ცნობისმოყვარეობისა, გვეინტერესება, რამდენად მოახერხა მხატვარმა გადმოეცა ბუნებაში გაბნეულ ფერთა თამაშის მოვლენანი. თუ ამ საკითხით ზერელედ მივუდექით სურათს, მაშინვე შევნიშნავთ, რომ მხატვარს ვერ მიუღწევია მიზნისთვისაო. რატომ? იმიტომ, რომ „ბუნება ასე ტლანქად არასოდეს არა მოქმედობსო“. მართლაც, ჩვენ ვიცით, რომ თუ მხატვარი ზერელედ აუღებს ბუნებას ალღოს, მაშინ ფერთა თამაშის მოვლენა ისეთივე ჰაეროვანი და შეუმჩნეველი უნდა ყოფილიყო, როგორც ჩვეულებრივ ბუნებაში ვხედავთ. მაშ თუ ამას ვერ ვამჩნევთ, სჩანს, ჩვენი მხატვრის გამოფენილი სურათი მხოლოდ სამეცნიერო დემონსტრაცია ყოფილა, რომ გვაჩვენოს საიდუმლო, საგანთა ცოდნა, სინათლის ხასიათი სხვადასხვა დროს. მაგრამ ეს შემცდარი აზრი იქნება გულუბრყვილო ესთეტზმისა. თოიძის მიერ გამოფენილი სურათი არ გახლავთ სამეცნიერო პრეპარატი, რომ საფიზიკო კაბინეთისკენ წაგვიყვანოს. არა, როგორც ვსთქვით, იგი უმთავრესად ნიმუშია მხატვრის პოეტური შემოქმედებისა, რომ წარმოდგენილი სურათით დაატკბოს ესთეტიური სენსუალიზმი. მხატვარი აქ თვის ფერთა თამაშით სცოცხლობს და აცოცხლებს სურათში აღხატულ მოძრაობას ძველი ბაზრისას.

მაგრამ რა არის სიცოცხლე? რას ნიშნავს სურათში **სიცოცხლის აღმოჩენა**? როგორც ვიცით, სიცოცხლე მოძრაობაში იხატება. ახლა დააცქერდით სურათს, რაოდენი ცვალებადობაა სხვადასხვა მდგომარეობისა: აიღეთ ბაზარზე გამოსული მოხუცი, ქალი, ბავშვი, ანუ ზარაფი, ფულის მხურდავებელი. მოშორდით სურათს პატარა მანძილზე და თქვენ დაინახავთ თვითეულ ტიპის მეტყველებაში სიცოცხლის შესაფერ იერს, შესაფერს მიმიკას. ის ბუნდოვანობა, რაიც სამხრეთის ბუღს დაუყენებია, სიცხე-პაპანაქებას, გამჭვირვალე ლეჩაქად იხდება და ყველა ტიპს თავ-თავის ადგილას გაჩვენებთ, მჩქეფრი სიცოცხლით, ამოძრავებულს...

სრულს კონტრასტს წარმოგვიდგენს მეორე სურათი „გიორგი XII“ (№ 2). როგორც თვით სურათის შინაარსი გვიჩვენებს, სიუჟეტი ისტორიულია. მოუძლურებულ-მოდუნებული მეფე სულს ჰლაფავს. უკანასკნელ სიცოცხლის თრთოლვა აღმომხდარა. ირგვლივ მისტიურ მდგომარეობის ელფერს გვირგვინად ედგმის ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივები, უნდა შევნიშნოთ, რომ სურათი სასურველ შთაბეჭდილებას ვერ სტოვებს. თუ რომ კატალოგს არ აიღებთ, თუ სურათის სახელს წინდაწინ არ გეტყვიან და არ გაგაფრთხილებენ, თქვენ ვერ მიუდგებით სურათს მხატვრის მისწრაფების თვალსაზრისით. რად მოხდა ასე? ჩვენის ღრმა რწმენით ეს მოხდა თვით მდგომარეობის ადგილის უხეირო ამორჩევის გამო. ცენტრალური ფიგურა, რომელიც ოპტიკურ მახვილად უნდა ჰქონიყო მნახველს, უკანა პლანზეა გადატანილი და ისეთი მინიატურული სახით, რომ სრულებით ყურადღებას ვერ მიგაქცევინებთ. სამაგიეროდ დარბაზის სიფართოვე, უხვად ნახმარი სადეკორაციო ფერადები, მოწყობილობის ისტორიული დეტალები, ფრესკები, მოზაიკა, ყველა ეს უნებურად გაფიქრებთ არა მეფე გიორგი XII საკვდილზე, არამედ ჩვენ მეფეთა სასახლის არქიტექტურულ სიდიადეზე. მხატვრის ინტუიციის მიერ საუცხოვოდ აღდგენილი მეფეთა სამეფო საფარი დიდებული გამომეტყველებით უნებურად იპყრობს თქვენს ყურადღებას. ისე მოსჩანს, თითქოს მხატვარს სწორედ ეს ჰქონია მიზნად, ამ დარბაზის დახატვა, გიორგი, მარიამ დედოფალი, მხევალნი და მსახურნი კი მხოლოდ აქსესუარებია, როგორც ვიტრინაში გამოფენილი ფარჩეულის ნიმუშები. ჩემის აზრით, უკეთესი იქნებოდა გიორგი წინა პლანზე ყოფილიყო, რომ უფრო ნათლად გვენახა ფინალი იმ დრამატიზმისა, რასაც შემდეგ მარიამ დედოფალი მოძრაობით და ქოქოლის მიყრით გამოჰხატავს. თუ მაინცა და მაინც მოისურვებდა ჩვენი ყურადღება ცენტრში გადაეტანა, სიღრმეში, მაშინ მთელი წინა პლანი, თვით მარიამ დედოფალიც კი უნდა გაენთავისუფლებინა ინტენსიური ტენდენციიდან, რომ ჩვენი ყურადღების ისარი მუდამ სიღრმეს მოჰხვედროდა. დამეთანხმებით, რომ როდესაც ასეთი მძიმე, კომპაქტური ფერადებით ვხედავთ მოხაზულს მთელს წინა პლანს, მაშინ რაღაი შორს მოგვიხდება გაქცევა და ძიება იმისი, თუ მხატვარს ამის იქით კიდევ სხვა რაღა უფიქრნიაო! ჩემის აზრით, მხატვარი კარგს იზამდა, თუ მარიამ დედოფალის პლასტიურ მოდელის გვერდით წინა პლანზევე ვნახავდით გიორგის მისვენებას, სურათი უფრო დიად შთაბეჭდილებას დასტოვებდა. თვით მზის ჩასვლაც, როგორც სიმბოლო სიკვდილისა და ახალის შობისა, ასე რიგად არ უნდა აქანდაკებდეს გარეთი პერსპექტივას, სადაც ჰაეროვნობა იყო საჭირო, როგორც ეს მიღებულია საზოგადოდ სილუეტების ხატვის დროს. რაც შეეხება ხალიჩებისა, ფრესკების თავდაჭერილ ტონს, დარბაზის არქიტექტურასა, უნდა სიამოვნებით შევნიშნო, რომ ყველა შესაფერ სტილს ფარგლებშია მოქცეული და მწყობრ ეფექტთა მთლიანი ჰარმონიას ქმნის. ამას აგვირგვინებს თვით მარიამ დედოფლის ერთგვარი კონვულსიური მდგომარეობა. მისი სახის მწუხარე მელოდიური მოტივი, პირის ოდნავი ნაოჭი და ნაღვლიანი მეღვარება ნათლად გად-დენთ დედოფლის ნების მძაფრ ძალ-ღონის მოკრებას. მთელი ეს ფიგურა მხატვარმა მეტად მოხერხებულ სენტენციით დააგვირგვინა...

მკვეთრი და ცოცხალი ფერადებით წარმოგვიდგინა მხატვარმა მშვენიერი სურათი ჩვენი ძველი ქალაქისა (№ 12). აქ ფრთა გაშლილია მხატვრის ფანტაზია, მისი ძლიერი ინტუიცია, რომ ძველი ქალაქი მთელი თავისი დიადი სანახაობით აღედგინა. ბრწყინვალე ცხრათვალა მზის შუქში გახვეულა ჩვენი ქალაქი. შენობები მრავალია როგორც ერთსართულიანი, ისე ორსართულიანი. განსხვავება ისაა, რომ ყველა ბანებითაა. ბანზე ხალხი სდგას. მოედანზე წითელ-ყვითელ სამოსლით გამოსული ხალხის მოძრაობა, ერთგვარი ცეკვა, თქვენ გაჩვენებთ, რომ რაღაც დღესასწაულია. აქაც, ამ სურათში, თოიძე ფერადების ვირტუოზია, როგორც პირველ სურათში („ძველი ბაზარი“ № 1). სამწუხაროდ აქ უფრო, ვიდრე პირველში, იგი იმდენად გაუტაცნია ფერადებს, რომ მოფუსფუსე ხალხი პირდაპირ გადაახალისა შენობათა ფერთა ტონებში. მაგრამ ეს მაინც სურათს ვერ აკლებს დიადობას და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი მომავალი ადგილი ოდნავი დამუშავების შემდეგ უეჭველად მუზეუმი უნდა იყოს.

საინტერესო და მიმზიდველი სურათია „ძველი დროის ნაშთი“ (№ 150). მძიმე და თალხით მოსილი ნაღველი ეკვრის თქვენს სულს, როდესაც ამ ხელოვნურ ნაწარმოებს უმზერთ. ძველი, ფეოდალური სასახლე, მშვენიერი კარმიდამოთი უპატრონოდ მიგდებულა. იგი ჯერ კიდევ ხელუხლებელია, მხოლოდ ჟამს მოუკლავს სახსრები გარედულობა. მას შემოგარემული ბუნება ნაღვლიანად დასტირის. მაგრამ აი, განსხვავებით ამ სასახლისა მოჩანს ეს განთიადის სისხლით შეხამებული. ეს სურათი იმდენა, იმდენა, რომ ნაშთის სიდიადეს ოდესმე შეიგნებენ, ოდესმე ნა-

მოვიპოვო და აღვადგინო როგორც ჩემი შელახული თავმოყვარეობა, ისე სამართალიც.

ომის ასაცდენად ყოველგვარი პატიოსანი საშუალება უნდა ვიხმაროთ, ისე როგორც კერძო ცხოვრებაში საჭიროა ყოველგვარ პატიოსან საშუალების ხმარება ჩხუბის და აყალ-მაყალის ასაცდენად. მაგრამ არც პიროვნება და არც ერი არ უნდა დაემორჩილოს უსამართლობას.

ყველაზე უფრო ძვირფასი საუნჯე, რომელიც კი შეუძლია ერმა თავის შთამომავლობას გადასცეს, ეს გახლავთ წინაპართა მიერ დაღვრილი სისხლი საკუთარ მამულ-დედულის, საკუთარ ტერიტორიის შესანარჩუნებლად. ბიბლიურ დროიდან დღემდე ეს წმიდათა წმიდას შეადგენს ყოველ ერისას, და როდესაც ამ მამაპაპათა სისხლით გაპოხიერებულ მიწას **უსამართლოდ** სხვა დაუწყებს პატრონობას, ნუ თუ მაშინ ომის აუცილებლობა საკამათო უნდა გახდეს?? ერის ყველაზე უფრო საშინელი სენი მისი გაუმრავლებლობაა. ერის სიძლიერე განვითარებისთვის თავდაპირველად აუცილებლად საჭიროა დედაკაცი და მამაკაცი იყოს მშობელი ჯანსაღ შვილების, რომ რასსა მატულობდეს და არ ადგეს გადაშენების გზას. თუ ეს ასე არ ხდება, თუ საზოგადოების გამრავლება უნებლიედ კოჭლობს, მაშინ ეს მხოლოდ უბედურებაა. და თუ გაუმრავლებლობა წინასწარ მოფიქრებით არის გამოწვეული, მაშინ ეს საშინელი დანაშაულია, გამოწვეული გარყვნილებით და ეგოიზმით, რომელსაც სასტიკად სჯის ბუნება. თუ გსურთ გადააშენოთ რომელიმე ერი, ჩაუნერგეთ მას საკუთარ ნებითი გაუმრავლებლობა და რამოდენიმე ათ წელიწადში თქვენ მიაღწევთ სურვილს. არც ცხოვრების გაფაქიზება-გალამაზებას, არც მატერიალურ პროგრესს, არც ხელოვნების და ლიტერატურის განვითარებას, არც ვაჭრობა-მრეწველობას არ შეუძლიან გამრავლების მაგიერობა გასწიოს. ერს ფიზიკური სიკვდილი მოელის ამ შემთხვევაში.

მამულიშვილის პიროვნება გამოიხატება თავისადმი და ერისადმი მოვალეობის აღსრულებაში. პირველი მოვალეობა საკუთარ ოჯახისადმია და ამ მოვალეობას პიროვნება მაშინ ასრულებს, როდესაც ჰპოულობს თავისიანებისთვის საარსებო წყაროს, ე. ი. როდესაც ის უზრუნველჰყოფს ოჯახს; მხოლოდ შემდეგ შეუძლია მას ამ მატერიალურ საფუძველზე ააშენოს ზედა სართული, მხოლოდ შემდეგ შესძლებს იგი დაეხმაროს და ემსახუროს ერსა და მის კეთილდღეობას. მეტი ნაწილი საკუთარ ენერგიისა მან უნდა მოახმაროს პირად ცხოვრების გაუმჯობესებას, და დანარჩენი ზედმეტი ენერგია კი—საზოგადოებას. დარწმუნებული ვართ ზოგიერთ მკითხველს მწარედ გაეცინება ამის წაიკითხვაზე, მაგრამ—რა ვქნათ!—საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, ჩვენ დავკარგეთ ის ენტუზიაზმი, რომელიც კაცობრიობის ხსნას და მსოფლიოს მაშვრალთა ტანჯვის შემსუბუქებას გვიკარნახებდა, მაშინ როდესაც საკუთარ ოჯახის მოვლას და შვილების აღზრდას ვერ ვახერხებდით.

ე. ალშიბაია.

პრესა

„სახალხო ფურცელი“ კვლავ აღნიშნავს კავკასიელ ერთა სოლიდარობის საჭიროებას.

კავკასიაში არც ერთი ერი არ არის ისეთი, რომელსაც, თავისი ბუნებრივი მდგომარეობით და არა სხვა რომელიმე ხელოვნურად შექმნილი პირობის წყალობით, ჰეგემონია და ბატონობა შეეძლოს. დღეს თუ არა ხვალ მაინც იძულებულნი გავხდებით პირისპირ წარვდგეთ და გამოვსძებნოთ შეთანხმების საფუძველი. ამას ყოველთვისა ჰგრძნობდნენ ჩვენი საზოგადოების საღი ელემენტები.

სოლიდარობის ქადაგება მარტო უმაღლესი მორალური მოთხოვნილების შედეგი არ არის. სოლიდარობას ჰქადაგებენ არა იმიტომ, რომ ამას მოითხოვს უმაღლესი მოთხოვნილება ადამიანის ბუნებისა, რომელიც ყოველთვის და ყველგან წინააღმდეგია მტრობისა და ქიშპობისა, არამედ კავკასიის ერთა პრაქტიკული საჭიროებაც.

ეს პრაქტიკული საჭიროება კი დაჰბადა იმ უტყუარმა ფაქტმა, რომ კავკასიაში არც ერთს ერს არ შეუძლიან თავისი ბატონობა განამტკიცოს. იქ, სადაც ბატონობა შეუძლებელია, საჭიროა თანხმობა, საჭიროა შეთანხმების რეალური საფუძველი გამოიძებნოს.

ეხლანდელ დროში ეს განსაკუთრებით საჭიროა. ისეთს დროში ვცხოვრობთ, როდესაც უბრალო შემთხვევაც კი შეიძლება გაუგებრობისა და უსიამოვნების წყაროდ გადაიქცეს. კავკასიაში მცხოვრებ არც ერთი ერისთვის ეს სასურველი არ უნდა იყოს. ჩვენ არ გვინდა ამ ჟამად ერთა დამოუკიდებლობის საკითხი კონკრეტიულ პირობებში განვიხილოთ, ან ჩვენ თითონვე ერთხელ კიდევ დავხატოთ სურათი შეთანხმების საფუძველისა. ვიტყვით მხოლოდ, რომ ეხლანდელი მომენტი მთელი თავისი სიმძლავრით, დაჟინებით მოითხოვს, რომ ერთა შორის ასეთი შეთანხმება მოხდეს.

რა თქმა უნდა, სოლიდარობა ყოველთვის კარგი რამ იყო. და ზოგისთვის იგი სოლიდარობა და სიჩუმე ეხლა ძალიან საჭირო და სასარგებლოა, ვინაიდან მოკლე ხანში საშვილიშვილო საქმე კეთდება, ზოგისთვის კი იგი მრავალის დაკარგვისა და იმედის გაცრუების ხანად აღინიშნება ისტორიაში. „სახალხოს“ არ სურს დახატოს „სურათი შეთანხმების საფუძვლისა“, თუმცა—უნდა გამოვტყდეთ—ეს სურათი ძალიან საინტერესო იქნებოდა, და უფრო კი—საჭირო, რადგან სიტყვიერ შეთანხმებას არავითარი ფასი არა აქვს.

საზოგადოების საყურადღებოდ

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების თაოსნობით და ქართულ პრესის წარმომადგენელთა დახმარებით. ივლისის შუა რიცხვებში გამოიცემა ქართულად და რუსულად ცალ-ცალკე და დაახლოებით ერთნაირი შინაარსის ფურცელი—გაზეთი. ამ გამოცემის მთელი შემოსავალი მოხმარდება ომისაგან დაზარალებულ ქართველ მაჰმადიანებს. ქართული საქველმოქმედო საზოგადოება სთხოვს ყველა თანამგრძნობს მოაწოდოს მას სალიტერატურო მასალა (ისტორიულ და თანამედროვე ხასიათის წერილები და ცნობები) საერთოდ ქართველ მაჰმადიანების და კერძოდ აჭარლების შესახებ. წერილები უნდა იყოს, რაც შეიძლება, მოკლე და უნდა გამოეგზავნოს საზოგადოებას არა უგვიანეს 8 ივლისისა. საჭიროა გაზეთი, რაც შეიძლება, მეტი გავრცელდეს. ამიტომ ყველგან უნდა დაარსდეს განსაკუთრებული ჯგუფები, რომელნიც ადრევე შემოიკრებენ გაზეთის გამყიდველებს. ეს უკანასკნელნი დანიშნულ დღეებში ჩამოივლიან ქუჩებსა და სახლებს და მსურველთ მიაწოდებენ გაზეთს.

საქველმოქმედო საზოგადოებამ ადრევე უნდა იცოდეს: ვინ, სად და გაზეთის რამდენ ცალს (ქართულს და რუსულს) დაიკვეთს მისგან გასასყიდად, რომ ბეჭდვის დროს იცოდეს დაახლოებით საერთო მოთხოვნილების რაოდენობა. ეს ცნობა უნდა მოუვიდეს საზოგადოებას 10 ივლისამდე.

საჭიროა,—ქართულ-რუსულმა გაზეთებმა გადაბეჭდონ ეს წერილი.

გამომცემელ ბიუროს მისამართი: Тифлисъ, дворцовая, д. Сараджева № 6, Василію Ростомовичу Кипіани.

ახალი ამბავი

მოწოდება. ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა მოწოდება გაუგზავნა სახელმწიფო სათათბიროსა და საბჭოს პრეზიდიუმს, საკანონმდებლო პალატათა თავმჯდომარეებს, პოლიტიკურ ფრაქციათა თავმჯდომარეებს, კავკასიელ დეპუტატებს, რუსეთის ქალაქთა და ერობათა კავშირების თავმჯდომარეთ და სხვებს. ბ-ნი ხატისოვი, აღნიშნავს-რა ერობის შემოღების საჭიროებას კავკასიაში, მოკლე ისტორიას ამ საგნის შესახებ დადგენილებათა 40 წლის განმავლობაში კავკასიის სხვა და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებათა მიერ, სთხოვს ყველას საკითხის სასურველად გადაწყვეტას საკანონმდებლო პალატებში ხელი შეუწყონ.

◆ **სასიამოვნო ამბავი.** როგორც „თანამედროვე აზრს“ ატყობინებენ დეპეშით ქუთაისიდან, დეპუტატ ჩხენკელს დეპეშა მიუღია, რომ მისი შუამდგომლობა შესახებ დამატებითი სესხისა სასურსათო თანხიდან ქუთაისის გუბერნიის დამშეულთათვის უმაღლესმა მთავრობამ შეიწყნარაო.

◆ **კრება.** დღეს, საღამოს 8 საათზე, კრება ექნება ქალაქის საბჭოს მიერ არჩეულ კომისიას, რომელსაც დავალებული აქვს საარჩევნო სიების შემოწმება.

◆ **კავკასიის სამოსწავლო ოლქის** მზრუნველმა მეხუთე სავაჟო გიმნაზიის ინსპექტორად დაამტკიცა პირველ გიმნაზიის ინსპექტორად ნამყოფი ა. ბ. საფაროვი.

◆ **ფილარმონიულ საზოგადოების** სკოლა ახალ ყორღანოვის ქუჩიდან გადადის სლეპცოვის ქუჩაზე, ექიმ ზელკინის სახლში.

◆ **კრება.** 30 ივნისისთვის დანიშნულია „ახალი კლუბის“ წევრთა საზოგადო კრება. განსახილველი და დასამტკიცებელია მიმდინარე წლის 6 თვის ანგარიში და მიმდინარე საქმეები.

◆ **პოლიცმეისტრის ვანკარგულებით** პოლიციის ბოქაულებმა განსაკუთრებული ფურცლები უნდა დაურიგონ სახლის პატრონთ და მოიჯარადრეთ, რომლებმაც ამ ფურცლებში უნდა ჩასწერონ მომსვლელთა ვინაობა და არა უგვიანეს ერთი დღისა წარადგინონ პოლიციაში. ვინც ამ განკარგულებას არ შეასრულებს, სასტიკად დაისჯება.

◆ **სახელმწიფო პაიკები.** ამ პაიკების რაოდენობა სხვა და სხვა ქალაქში სულ სხვა და სხვაა. თბილისში სხვა ქალაქებიდან მოდიან პირები, რომელთაც პაიკა ეკუთვნის, მაგრამ თხოულობენ იმ ზომისას, რამდენიც პირველ თავისს საცხოვრებელ ქალაქში ეძლეოდათ. ამ საკითხის გადასაწყვეტად, ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით, თათბირი ჰქონდა განსაკუთრებულ კომისიას, მაგრამ ვერავითარი დადგენილება ვერ გამოიტანა. ამიტომ კომისიამ გუბერნატორს მიჰმართა საკითხის გადასაწყვეტად.

◆ **საჯარო ვაჭრობის დასრულება.** თბილისის გუბერნიის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკში 23 ივნისს საჯარო ვაჭრობა დასრულდა. თბილისის არც ერთი მამული ბანკს არ დარჩენია. ოცამდე ასეთი მამული საჯარო ვაჭრობით გაიყიდა, დანარჩენების ხვედრი ფული თითონ პატრონებმა ვაჭრობის დროს წარადგინეს ბანკში. ბანკის გამგეობამ, მიიღო-რა მხედველობაში ეხლანდელი გაჭირვებული მდგომარეობა, ბათომისა, ფოთისა და სოხუმის ბევრი მამული ვაჭრობაში არ ჩააგდო, რადგან ამათ პატრონებს ხვედრი ფული შეძლებისდაკვალობაზე ნაწილ-ნაწილ შემოაქვთ ბანკში.

◆ **ქართული სექცია.** 23 ივნისს, ექ. ი. ს. ელიაშვილის თავმჯდომარეობით, ქართველ ექიმებს კრება ჰქონდათ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებასთან საექიმო სექციის დაარსების შესახებ მოსალაპარაკებლად.

◆ **ქართული ენა სამურზაყანოს სკოლაში.** ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებამ ნებართვა მიიღო სოფელ გალის (სამურზაყანოში) სამრევლო სკოლაში ქართული ენისა და გალობის სწავლებისა თავისის ხარჯით. საზოგადოების გამგეობამ 23 ივნისს დაადგინა, ხსენებულ სკოლის ქართული ენის მასწავლებლად მიიწვიოს პირველ სექტემბრიდან პეტრე ჭარაია, ხოლო გალობისა გრიგოლ ქავთარაძე. პირველს მათგანს დაუნიშნა ჯამაგირი წლიურად 600 მან., მეორეს 200 მანეთი.

◆ **წიგნის მაღაზია ძველ-სენაკში.** ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების სენაკის განყოფილებამ დაადგინა სექტემბრიდან წიგნის მაღაზია გახსნას ძველ-სენაკში. განყოფილების გამგეობამ მაღაზიისათვის წიგნები ნისიად სთხოვა საზოგადოების მთავარ გამგეობას, რაიცა შეწყნარებულ იქნა.

◆ **შინაგან საქმეთა მინისტრმა** განმარტება დაუგზავნა სათანადო დაწესებულებათ, რომელშიაც ნაბრძანებია, რომ სახელმწიფო პაიკა უკლებლად უნდა დაურიგდეთ კუთვნილებისამებრ, ასე რომ პაიკას არავითარი სავალდებულო გადასახადი არ უნდა გამოაკლდესო.

◆ **გლეხების დაბეგრვა.** როგორც ამბობენ, დუშეთსა და თიანეთის მაზრის ზოგიერთა სოფლის გლეხები დაუბეგრავს მთავრობას. მიზეზი ის არის, რომ გლეხებისთვის [illegible] საზამთროდ შეშა [illegible] ლაზარეთებისათვის, მაგრამ გლეხებს ეს დავალება ვერ შეუსრულებიათ სხვა და სხვა მიზეზის გამო, მაგალითად, უგზოობისა და მუშა საქონლის უქონლობისა გამო.

◆ **ქალაქის სასაკლაო.** მაისში საქალაქო სასაკლაოზედ დაიკლა სულ 33,282 წვრილ და სხვილფეხა საქონელი, მათ შორის: ძროხა-ხარი 5735 სული, მოზვერ-დეკეული—1024 სული, ხბო—262, კამეჩი—1079, ცხვარი—24,935, ღორი—26, გოჭი—221. სასაკლაოს შემოუვიდა დასაკლავ გადასახადიდან—14,446 მ. 46 კ., ღორების გასასინჯ გადასახადიდან—13 მ., დასაზლვევ გადასახადიდან—1209 მ. 59 კ. ბეითლებს მოუსპიათ 357 ფუთი და 37 გირვ. ძროხის ხორცი, 2 ფუთი და 32 გირ. ხბოსი, 8 ფ. და 2 გირვ. ცხვრისა, 4 ფ. და 7 გირვ. ღორისა. დასაზღავ პრემიად გაუცია ქალაქს 1393 მ. და 29 კ.

◆ **მაკლერები სასაკლაოზე.** ქალაქის სასაკლაოს დირექტორმა ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა ამას წინედ აღძრა შუამდგომლობა თბილისის ქალაქის გამგეობის წინაშე, რათა დაწესებულ იქმნას ქალაქის საქონლის ბაკზედ, სადაც სწარმოებს აღებ-მიცემობა საკლავ და სხვაგვარ საქონლისა, ორი თანამდებობა ბირჟის მაკლერებისა. მაკლერების მოვალეობას შეადგენს თვალყურის-ჭერა წესიერ ვაჭრობაზედ, სყიდვა-გაყიდვის კანონიერ კალაპოტში მოთავსება, ამ ნიადაგზედ მომხდარ ბოროტმოქმედებათა და უთანხმოებათა გამორკვევა, მყიდველთა და გამყიდველთა შორის ატეხილ დავის გადაჭრა, მორეკილ და გაყიდულ საქონლის რაოდენობის აღნუსხვა და დავთრებში ჩაწერვა, მაზანდის ყოველ-დღიური აღნუსხვა და სხ. მაკლერებს დაჰნიშნავს ბირჟის კომიტეტი ქალაქის გამგეობასთან ერთად. როგორც ვიცით, თითქმის ყველა დიდ ქალაქებში რუსეთისა და ევროპისა, არსებობს ამისთანა ბირჟები და ამათ საშვალებით ჰხდება ყოველგვარი სყიდვა და გაყიდვა საქონლისა. ეს ბირჟები ერთსა და იმავე დროს ორნაირ როლს თამაშობენ, საშუამავლოს, ეგრედწოდებულს კომისიონურს, და ზედამხედველურს. ამათ წყალობით წესიერ კალაპოტში მიმდინარეობს საქონლით ვაჭრობის საქმე დიდ ქალაქებში. ამისთანა დაწესებულება კაი ხანია საჭირო იყო თბილისის ქალაქისათვის, სადაც აუარებელი შუაკაცები ბოროტმოქმედობდნენ და ჯიბეს ისქელებდნენ მომხმარებელთა და გამყიდველთა საზარალოდ. იქნებ ეხლა მაინც ველირსოთ თბილისელები ხორცის და საქონლის ვაჭრობის მოწესრიგებას. როგორც შევიტყვეთ, ქალაქის გამგეობას მოუწონებია და დაუდასტურებია არღუთინსკის პროექტი და 1 ივლისიდან უკვე განხორციელდება იგი.

კახეთის განსაცდელშია

ილუპება კახეთი, მაგრამ თვით ვერ გამოუთქვამს, სირცხვილად და თავის დამცირებად მიაჩნია. ძველთაგანვე ასეთი ჩვეულება აქვს შეთვისებული: რანაირ ეკონომიურ გაჭირვებაშიაც უნდა ჩავარდნილიყო, მიზეზად ხალხს არ გააგებინებდა, თვის ჭირს თვის კარჩაკეტილ ოჯახურ ცხოვრებაშივე მონელებდა ხოლმე. შემწეობის მიწოდებას ხომ მომაკვდინებელ სირცხვილად მიიჩნევდა. დიდია ქვეყანა: კაცი უნდა წავიდეს, სამუშაო მოძებნოს, იმუშაოს, საქმის პატრონი ახეიროს და თვითონაც სარჩო აიღოს, რომ ცოლშვილი შეინახოს. ესეთი იყო და არის კახეთის შეურყეველი რწმენა; ამ ჩვეულებას, რომ მტკიცედ ასრულებს, ამას ისიც ამტკიცებს, რომ სამოცდა თორმეტიან წლებში, დიდი შიმშილობის დროს, მთელი ქიზიყი აირია, მიეჩვია სამშობლოს საძებნად საქართველოს ყოველ კუთხეს და მაშინდელი გადასახლებულნი სიღნაღლოში დღესაც მრავლად მოსახლეობენ, რომელთაც შეეძლოთ აღარ დაბრუნებულან მამაპაპეულ კერაზედ. დღევანდელ კახეთის დამღუპველ ჭირს რომ არსაიდამ შველა არ უჩანს, [illegible] სიმართლე—რამე მის შესახებ?—სრულიად არაფერი.

მამაკაცების ომში გაწვევის—გამო საერთო გოდება გაისმის, მუშა ხელი აღარ არის: ამიტომ მუშა დღეში 2 მ.—

უბრუნდებიან, ოდესმე სიცოცხლე იწყებს ჩქეფას! სევდა მხატვრისა, მის გულწრფელი ცრემლით დანამული, კაეშნით გადამტვრეული ფერდები გადაგვარებულ და გადახვეწილ ქართველთა მიერ მიტოვებულ სახლკარის გამო ამ მზის სხივებში თეთრი იალქნით მიასცურავს და აღგვითქვამს, რომ ჯერ კიდევ მთლად არ წავმხდარვართ, სულ ასე არ ვიქნებით დაცემულნი, ჩვენც გავიღვიძებთ, ჩვენც აღვდგებით, ჩვენც კვლავ მოვნახავთ შეგნებულ მამათა კერას...

სულ სხვაგვარ შთაბეჭდილებას ახდენს „მერანი“ (№ 9). სურათი მეტად თეატრალურია. მხედარი ბარათაშვილის სახით „მიჰქრის“. მთელი კომპოზიცია თვალწინ გირდგენთ ერთგვარ სიმძაფრეს, ინტენსიობას. იქმნებ ეს იყოს მიზეზი, რომ მერანს გარდამეტებულ სიმძაფრემ ერთგვარი დაღლილობის და მოქანცვის გამომეტყველება მისცა. ეს უფრო ჩვეულებრივი მედოლე ცხენია, ვიდრე მერანი. ჩემის აზრით, აქ საჭირო იყო ფანტაზიის მეტი სიცელქე, მეტი სიცხოველე. მეორე ნაკლულევანება გახლავთ ის, რომ ვერ ვხედავთ უსაზღვროებას. მანძილი აქ წარმოდგენილი მერანისა მეტად ვიწროა, ჩვეულებრივი და იმ უსაზღვროებას ვერ გვიხატავს, რასაც „ფიქრით მღელვარი“ ჩვენი მგოსანი ეზიარა. მართალია მხატვარმა ფონზე მძაფრი ღრუბლები დაგვიხატა, იქ გადაიტანა მთელი ჩვენი ყურადღება, იქ სთქვა ის, რაც ბარათაშვილმა ვერ გამოსთქვა თვის ლექსთა წყობით, მაგრამ სწორედ ეს ქარბუქი, ეს გააფთრებული სტიქია მთელი თვისი მრისხანებით უნდა იტაცებდეს როგორც მხედარს, ისე მის მერანს და მარადიულ სარბიელის ველს გადგვიშლიდა. „უსაზღვროება“, „მარადიული წინ სრბოლა“—აი, ნიკ. ბარათაშვილის სულის კვეთება! თოიძის მერანს კი მეტად მოჭრილი და ჩვეულებრივი მანძილი აქვს სარბენი. ნაკვთი გამორბენილი მანძილისა საზღვარ-დადებულია, როგორც თვით გასარბენი სივრცე უკანა პლანზე. გაძაფული ღრუბლები, მძაფრი სტიქია, როგორც სულ წასულ მხედრის მსრბოლავი ინერცია ვერ შეჰხამებია მერნის მოქანცულობის კონტურს. აქ მხედარი კი არ არის „მოქანცულობით“ შესაბრალისი, არამედ თვით ის მერანი, რომელსაც თითქოს ძალ-ღონე ჰღალატობს, უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრებს, რომ კიდევ პატარა მანძილზე გაირბინოსო. ასეთია, მერანი, ეს მძლავრი შადრევანი სამარადისო შემოქმედებისა და ხელოვნების თვალის მომჭრელი გვირგვინი კიდევ მეტს ფანტაზიას მოითხოვს, მეტს შემოქმედების ცეცხლს, მეტს ხელოვნების უნარს.

მიუხედავად ამისა, სურათი მაინც ძვირცდის ფასია. რაც უნდა იყოს იგი საუკეთესო ნიმუშია. უეჭველია, მხატვარს კიდევ სხვაგვარად ესმის მისი შინაარსი, სულ სხვაა მისი ინტუიცია და მის მიხედვით დაასურათა ეს დიადი იდეია მჭმუნვარე მგოსნისა, მაგრამ ჩვენ მაინც მეტს მოველოდით, მეტს, რადგანაც თოიძე ის მხატვარია, რომელსაც ძველ თოიძესთან საერთო თითქმის აღარა აქვს რა, იგი აღჭურვილია მკვეთრი თანამედროვე ხელოვნების იარაღით და ამიტომაც მეტს მოვითხოვთ. თუ ეს არა, მაშინ ამ სურათს დიდი პლიუსი დაესმის და სანიმუშოთა გვერდით შესაფერს ადგილს იპოვნიდა ჩვენს ეროვნულ მომავალ მუზეუმში. ჩვენ გვწამს, მხატვარი ერთხელ კიდევ დაუბრუნდება ამ დაუშრეტელს წყაროს შემოქმედებისას და იქნებ მაშინ უფრო სასურველად გამოიყენოს ის საუცხოვო და მძიმე ფერადები, რაც ეხლა აღმოურჩევია მერანის საკოლორიტოდ.

(დასასრული იქნება).

დ. კასრაძე.

50 კ. ფასობს, ხოლო ვენახის შემწამლელს-კი 3 მანეთიც ეძლევა.

სხვა დროს გაკოპწიავებული ვენახები დღეს გულის მომკვლელ სურათს წარმოადგენს: შაბიამანის უქონლობის გამო შეუწამლავი დარჩა. ჯერ იყო აპრილის 16-ში მოსულმა თოვლმა ქორფა ყურძენი დასწვა, რამაც ხალხი შიშში ჩააგდო—ყურძენი გაფუჭდება და დავიღუპებითო; მერე აქამდის შეუწყვეტელმა წვიმებმა ვაზი საშინლად გააყვითლა, და გაუთოხნაობით ხომ ვაზებს ბალახი თავზედ მოექცა. აღარ დარჩა არც ერთი სოფელი რომ ცოტა სეტყვა მაინც არა სწვეოდა და ისედაც დაღუპული ვენახები უარესად არ დაეღუპნა. აი ერთი ხალხის მაცოცხლებელი დიდებული დარგი იღუპება, ეცლებათ ხელიდან.

წლევანდელი ზიანი რომ ხალხისათვის აუტანელი იქნება, ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ წარსულ წელსაც სოფელ კურდღელაურსა და მის გარშემო სოფლებში საშინელი სეტყვა ყოფილა, რასაც ვენახებთან ნახნავებიც გაუნადგურებია და ხალხი მშიერი დარჩომილა. ს. ნასომხარში, მთელი დღის მშივრებმა არამც თუ პური, მჭადიც ვერსად ვიშოვეთ. ვისაც ძროხა ჰყავს რძითა და მაწვნით იკვებება, მეტი რიცხვი კი—მოხარშული მარილ დაყრილ ბალახით. შევეკითხე: თუ ასეთ გაჭირვებაში იყავით, რატომ არ მიმართეთ ჩვენს ქართულ საზოგადოებას, რომელიც გაჭირვებულ ხალხს შემწეობას აღმოუჩენს ხოლმე? მიპასუხეს ქალებმა: სათხოვრად თავის დღეში არავისთვის გაგვიშვერია ხელი და დღეს მოვითხოვდით? ან როგორ გაგვიჭირდებოდა საიმისოდ, ჩვენთვის მუშა ხელი რომ არ წაერთმიათ და ომში არ გაელალათ? სხვაგან თუ არა, აი ამ რკინის გზაზედ იმუშავებდენ და იმტენს მაინც აიღებდნენ, რომ ჩვენ გვყოფნოდა, უქონლობაში ცოტათიც ვკმაყოფილდებით. დღეს გვიჭირს იმიტომ, რომ სახლში დავრჩით დედაკაცები წვრილი შვილებით და ბერიკაცები, რომელთაც ამისთანა ადგილას მუშაობა არ შეუძლიანო.

პური ყველგან რვა კაპეიკი გახდა, ისიც არ იშოვება, და თუ იშოვება ბაზარ ადგილებში, ისეთს საძაგელს პურს აცხობენ, რომ პირში არ ჩაიშვება, დამჟავებულს და ცომს დამწვარებული ფქვილისაგან გამომცხვარსა ჰყიდიან, რადგანაც მეთვალყურე მათთვის არავინ არის. ღვინო ადგილობრივ ვედრო 5—6 მანეთი ფასობს, საპანე 200—240 მანეთი, მაგრამ ეს დღეს მევენახეს კი არა აქვს, არამედ, როდესაც გაიგეს ღვინო ძვირდებაო, ძველთაგანვე კახეთის მჭამელმა სომეხ-ჩარჩებმა მთელი კახეთის ღვინო შეიყიდეს საპანე 4—6 თუმანში, პატრონისავე ქვევრებში უდგათ და მოსულ ვაჭრებზედ იქიდანვე ჰყიდიან ზემოხსენებულ ფასებში, პატრონი კი გულდაწყვეტილი უმზერს ამასა. ამაზედ მრავალ ადგილას მოხდა შეკითხვა მევენახეებთან: რატომ ჩარჩებს თავის ფულს არ ახლით თავში და თქვენს ღვინოს თქვენვე არ გაჰყიდით-მეთქი? „როგორ ვიკადროთო?“—აი მათი საერთო პასუხი. თუმცა ზოგიერთებმა მაინც გადაუყარეს ფული და ჩარჩები იფრინეს, მაგრამ ასეთი მაგალითი ძალიან ცოტა იყო.

ვენახებთან ერთად რომ ყოველნაირი მიწის შემოსავალიც იღუპება, ეს კი ხალხის დაღუპვასთან პირუტყვ საქონლის დაღუპვასაც მოასწავებს. გაზაფხულიდან ყანები მთელს გარე-შიგნით კახეთში დ ქიზიყში ზღვად გარდაიქცა. ძველი ხალხი ამბობს: ესეთი უხარჯო და ერთნაირი მოსავლის შემსწრე არა ვართო, მაგრამ შეუწყვეტელი წვიმების გამო მეტი წილი გუდაფშუტად გადაიქცა, რაც დარჩა სალად—ისიც კოკისპირულმა მსხვილმა წვიმამ მოსტეხა, მთელი მოსავალი ჩაწვა ნახნავებში, რაიცა მიწაში ნაბადივით ჩაეგო და შავდება, ლპება და მისი მომკა არ შეიძლება. ამასთანავე ამ წაქცეულ ყანებში ისეთი ბალახი გაიზარდა, რომ თავს მოექცა და თუ მომკა მოხერხდა, ბალახიც ყანასთან უნდა მოიმკოს. ამგვარად პური ბალახის თესლით გაიმსება. მთელი ეს თვალუწვდენელი ყანებით სავსე მინდვრები სეტყვისაგან განადგურებულს სურათს წარმოადგენს. მაისის დამლევს წინამხარში (ქიზიყის ბოლოზედ) ზოგიერთ ადგილას ქერები დამკეს, რაიცა დამშეულ ხალხს ბედზედ მოესწრებოდა, მაგრამ ყოველ დღე წვიმების გამო არამც თუ ვერ გალეწეს, არამედ ათეულების ნახნავებიდან გამოტანაც შეუძლებელი გახდა და ლამის ნახნავებშივე ჩალპა. ეხლა ვიკითხოთ თივა. წელს შეეძლო ხალხს ბლომად გაეთიბნა და გაეყიდნა ის, რაიცა კარგს შემოსავალს მისცემდა ამისთანა გასაჭირ დროს, ვინაიდან ბალახი წლეულს დიდძალი მოვიდა და ფასიც კარგი აქვს, მაგრამ მისი გათიბვა შეუძლებელია. ვინც გათიბა, ზოგან აკვირტებულია, ზოგანაც აუკვირტებელი; რომ გაზიდვა ვერ მოასწრეს, სისველისაგან აყროლდა და დალპა, ხოლო რაც გასათიბია, მისი გათიბვა შეუძლებელია, თუმცა ბალახი შემოსულია, თესლი სცვივა. თივას თუ თესლი გასცვივდა, ის საქონლის საჭმელად აღარ ვარგა, და თუ შემოდგომისათვის ახალი ბალახი გაიზრდება—ეს შემდეგი საკითხია, დღეს კი არავითარი მიწის ნაყოფის იმედი არა აქვს ხალხსა. აპრილში მოსულმა თოვლმა ხეხილი მთლად დააზრო, ნაყოფი გასცვივდა, აღარაფერს ასხია კაკლის მეტს, იმასაც თხლად. მთელს ამ აღწერილს ხალხის საცხოვრებლის დაღუპვას მიუმატეთ წინანდელი უქონლობაც და ეხლანდელი ფუთი ფქვილის ღირებულება 13—14 აბაზი, რომლის შოვნაც ძნელია, და ადვილი წარმოსადგენია თუ რა ყოფაში ჩავარდება კახეთი.

ზემოდ აღწერილი ჭირი გარე-კახეთსაც ურახუნებს თავში. კაჭრეთსა და ყანდაურას შუაზედ მინდვრის ნახნავები სეტყვამ გაანადგურა, სხვა ადგილებშიაც კოკისპირულმა წვიმებმა მოსპო ყველაფერი, ხალხი მშიერი რჩება. რანაირი წვიმები უნდა ყოფილიყო, რომ სადაც თავის დღეში მივარდნილი წყალი არავის უნახავს, დღეს იქ ნიაღვრებითაა წალეკილი ყოველისფერი. გორაკიან მაღლობ ადგილებზედაც კი ყანები ნიაღვრებმა წალეკა და ვაკე მინდვრიან ადგილის ნახნავები რა ყოფაში იქნება, ადვილი მისახვედრია. 17 ივნისს ს. მარტყოფისა და სამგორის ირგვლივ მიდამოში, შუადღის შემდეგ, საშინელი წვიმა წამოვიდა, თითქოს ვედრო მოუპირქვავებიათო, ეს მთაგორიანი ადგილები ნახევარ არშინის სიმაღლეზედ წყალმა დაჰფარა, ყანები წალეკა, ღელეები დიდ მდინარეებს წარმოადგენდა, რკინის გზა 7-8 ადგილას გარეცხა. ამგვარათ აღარ დარჩენილა კახეთში არც ერთი სოფელი, რომ საერთო ჭირს ასცდენოდეს. საზოგადოდ გარე-კახეთში შიმშილი მეფობს, გირვანქა პური 10 კაპ. ფასობს და შოვნაც არ არის. ს. ყანდაურადან ფერშალი ნასიძე, შიმშილით შეწუხებული, რომ ადგილობრივ პური ვერ ეშოვნა, თბილისში მოდიოდა გამომცხვარი პურის საყიდლად. ეს ზომა იხმარა იმან, ვისაც რკინის გზით უფასოდ შეეძლო მგზავრობა, მაგრამ იმ მცხოვრებთ, რომელთაც ადგილობრივ პურის საყიდელი ფულიც არ გააჩნიათ, ისინი რა დღეში იქნებიან?

მე აღვნიშნე რამდენიმე ისეთი მსხვილი მოვლენა, რომელიც თავისდაუნებლიეთ თვალებში ეცემა ადამიანს და დაწვრილებით მთელი ცნობების აღწერა კარგს დროსა და მრავალი წერილის წერას მოითხოვს, ეს კი, ვგონებ ქართველი საზოგადოების მოვალეობას შეადგენს და საჭიროა კახეთისაკენაც ჩქარა ყურადღების მიქცევა.

მოიფიქრეთ, იქნებ ეშველებოდეს რამე.

იროდიონ ოქროშვილი.

მოსალოდნელი ხიფათი

„სახ.ფურცლის“ გუშინწინდელ ნომერში ვინმე დ—ლი დაწვრილებით აღწერს იმ მოვლენას, რომელიც მოკლედ გადმოგვცა ტელეგრაფმა. კისის ხევი, რომელიც სოფელ კონდოლს და კისისხევს ჩაუდის შუა, შეგუბებულა რამდენიმე ვერსის მოშორებით ჩამოწოლილი კლდისაგან. ესეთი მოვლენები ხშირია ჩვენში და ყოველთვის აურაცხელ უბედურებას უმზადებს ხალხსა. ჯერ მთის წყალი მუდამ საფრთხეს წარმოადგენს ქვევით მდებარე სოფლებისა და მამულებისათვის და მერე შეგუბებული აუცილებლად დიდ მსხვერპლს მოითხოვს.

ამას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს საჩქაროდ არა მარტო ადმინისტრაციამ, რომლის მექანიზმი მეტად ნელა ამოქმედდება ხოლმე, არამედ ქართველმა საზოგადოებამაც. ჩვენი თავად-აზნაურობა, ნამეტნავად თელავის მაზრისა, უნდა საჩქაროდ ახმაურდეს, მიმართოს ვისაც ჯერარს და მოითხოვოს საშველი. გუბერნიის თავად-აზნაურობაც მოვალეა დაეხმაროს ხალხს და გადაარჩინოს მომავალ უბედურებას. ჩვენის აზრით, თავად-აზნაურობა ვალდებულია თვისი საადგილ-მამულო კომისიის საშვალებით, საცა შედის რამდენიმე ინჟინერი, **საჩქაროდ აფრინოს** ერთ-ერთი ჰიდროტეხნიკოსი მაინც სახელდახელო ზომების მისაღებად.

ამისათვის არ უნდა დავზოგოთ საკმაო ფულიც, რადგან მერე შემოვიკრავთ თავში და ტირილს დავიწყებთ, რომ სოფლები გაგვიოხრდა და ხალხი დაგვეღუპაო... მაგრამ წამხდარსა საქმეს რას არგებს მას უკან თითზე კბენანი.

დააჩქარეთ, ვისაც რა შეუძლიან!

რაე.

მინიატიურები

I

სწუხს მთელი არე

სწუხს მთელი არე...

სული მძიმე თალხით იმოსვის...

როგორ დავეცი ასე დაბლა უფსკრულის პირად—სულ აღარ მახსოვს: ვიცი მხოლოდ, ვიყავ მეც კაცი, მქონდა კაცური შემეცნება; ფიქრი და ზრახვა, ეხლა კი, ეხლა... ეჰა, მორჩა... თითქოს აღსრულდა... რაღაც ნამსხვრევი ყოფილ არსის ნაშთი ვარ მხოლოდ...

სწუხს მთელი არე...

სისხლის ნამსა ფანტავს ტაროსი... სხივი ტურფა ცის მეჩვენება უკუნო ბნელად... ვდგევარ ჩემს მომკრთალ სახებისა ნაცრისფერ ჩრდილთან და აღარ ვუწყი, ვის მოვუხმო, ვის გავყვე უკან, რომელ ქარიშხალს გავადევნო სულისმსწრაფლ სრბოლა?

სწუხს მთელი არე...

და ეს მაშინ, როცა ზაფხული ცხრათვალა მზითა უნდა სწვავდეს არე-მარესა.

ნეტავ ვიცოდე, რად მეხვევა ესოდენ ჩრდილნი? ვინა ხართ, ჩრდილნო, მარქვით თქვენი სწორი სახელი! თქვენ ერთ დროს თითქოს ატარებდით ადამის სახეს, ერთხელ თქვენც გქონდათ ღვთის დიდება და მისი სახელი, მაშ რაღას ნიშნავს, რომ გრიგალის ფრთები შეგისხამთ და ბუკ-საყვირით გლეჯა-ფლეთად იწვევთ თვით ცასა? ჰხედავთ, დაჭრილმა მიწამ აჰხსნა თვის ნაკოდ გულსა და ცას შეასხა შადრევანად თვის წმინდა სისხლი... თქვენ ის დაჰკოდეთ... ცა გაწითლდა... ცა ჩონჩხით გოლგოთას გადაეხურა გლოვის ზეწრით... ცაც მოსთქვამს თვის ბედს...

სწუხს მთელი არე...

ცრემლიანი მზე სხივს მოაფრქვევს.

საიდუმლოა გლეჯა-ფლეთის მწუხარე ველი... ზედ მოსცეკვს ლანდი სიკვდილისა და მკაცრ ხარხარში თავსა მოიქებს, რომ ამეფებს ავაზაკობას და სათნოებას საუკუნეთ ლეგენდადა სწერს...

სწუხს მთელი არე...

სისხლის ცრემლებს ჰჟინჟლავს ტაროსი...

Candide.

სომხების მდგომარეობა ოსმალეთში

„ჰორიზონს“ ვანიდან ატყობინებენ, რომ შატახში, ხიზანში, სპაკერტში, მაკსში და მამრტანკში სომხების ჟლეტა არ ყოფილა, მაგრამ ალჯვაზაში, არჩეშაში, ბერკრიში, ახბაკაში და ნორდუზაში სულ ერთიანად ამოუხოცნიათ მცხოვრებნი. იმავე გაზეთის ცნობით ოსმალეთის მთავრობის განკარგულებით სომხებს აღკრძალული აქვთ ოსმალეთში შესვლა. აღკრძალულია აგრეთვე ოსმალეთის და საზღვარგარეთელ სომხებთა შორის მიწერ-მოწერა. ამ რამოდენიმე დღის წინად 20 ანჩაკისტი სიკვდილით დაუსჯიათ. არა ნაკლებ საშინელებას აგვიწერს მეორე გაზეთი „არევი“. სტამბოლიდან მოსული დეპეშის ცნობით, ამ უკანასკნელ დროს ანტისომხურ პროპაგანდას დიდი გავლენა ჰქონია ბნელ მასაზე. სტამბოლიდან პესამდე პოლიცია რაღაც განსაკუთრებულ განკარგულების აღსრულებაშია. მაღაზიებიდან ხსნიან ფრანგულ წარწერებს და აიძულებენ ოსმალურად იყოს წარწერა. ვილაც საეჭვო პირნი დადიან ყავახანებში, მაღაზიებში, დააქვთ „პოლის მეჯიდას“ ნომრები, სადაც იარაღისა და ყუმბარების მრავალი სურათებია მოთავსებული, რომლებიც თითქოს პოლიციას სომხების სახლებში ენახოს. ამ საშვალებით აგენტებს ჰსურთ შეუგნებელი ბრბო სომხების წინააღმდეგ აამხედრონ და მით ხოცვაჟლეტა გამოიწვიონ.

„კავკ. სლ.“ საკუთარი კორესპონდენტი დუხოვი სომხების მდგომარეობას ოსმალეთში ასე მოგვითხრობს: ორგოვადან ვანამდე და ალაშქერტიდან პრატნოსამდე დაძრწიან მთელი ქარავნები ნახევრად შიშველ-ტიტველი ბავშვებისა და ქალიშვილებისა, ესენი გაურბიან ოსმალთა ჰამიდიელების და ჟანდრების მხეცობას. ზოგიერთ სოფლებში კორესპონდენტს ხვდებოდა ქალები და ქალიშვილები, რომლებიც ჰამიდიელებმა დეკემბერში გაიტაცეს ალაშკერტის ველიდან. არის მათ შორის 5—7 წლის გოგოები, რომლებიც ქურთებს გაუპატივრებიათ. ორსულ ქალების და ქალიშვილების რიცხვი ხომ უთვალავია. სიპანის მიდამოებში ორი ათასი ქალის და ქალიშვილების გვამი ჰყრიან; წარმოსადგენია ასეთ სიმხეცეს ადგილი ჰქონდეს მეოცე საუკუნეში?

ომში დახოცილნი და დაჭრილნი

ჭრილობისაგან გადრაიცვალა პრაპორშჩიკი **გურგენიძე** პაატა ივანეს ძე. დაიჭრნენ პოდპოლკ. **თულაშვილი** გაბრიელ ლევანის ძე, პოდპორუჩ. **ანჩაბაძე** ვიქტორ ლევანის ძე, **გონიაშვილი** ალექსანდრე ივანეს ძე, პოდპოლკ. **დავითაშვილი** ივანე ივანეს ძე. პორუჩიკი **კეთილაძე** ვასილი ლეონის ძე. ბრძოლის ველზე დარჩა: კაპ. **ჩიქოვანი** თერაპონტი ივანეს ძე. უკვალოდ დაიკარგნენ: პარპ. **გაბუნია** ნიკანდრ იოსების ძე. კაპ. **ყურაშვილი** სტეფანე გიორგის ძე. დაიხოცნენ: პრაპ. **ანდრიაძე** ალექსანდრე, პრაპ. **იორაშვილი** ალექსანდრე, კაპ. **ყანჩაველი** იოსებ დავითის ძე და კაპ. **ლობჟანიძე** ნესტორ ანტონის ძე. დაიჭრნენ: **ადამიშვილი** სერგო, პოდპორ. **დავიდოვ** დავითი, პრაპ. **მძინარიშვილი** რაჟდენ, პრაპ. **ნადირაძე** ნიკოლოზ, პოდპორ. **ნათიაშვილი** გიორგი, ექიმი **აბულაძე** ერმოლოზ, პოდპორუჩ, **დგებუაძე** გრიგორი, პრაპ. **მათიაშვილი** ვიქტორ. ტყვედ არის კობიაშვილი (დაჭრილია) ანდრია.

უმაღლესად დაჯილდოვებულ იქმნენ:

წმ. მოციქულთა სწორის თ-დ ვლადიმირის 4 ხარისხის ხმლით: ვლადიმერ **გვახარია**, ათანასი **შირაია**, ზაქარია **მამულაშვილი**, ზაქარია **სოსიაშვილი**, ნიკოლოზ **არშენაშვილი**, ვლადიმერ **მუშკუდიანი**. წმ. ანნის მეორე ხარისხის ხმლით **მებუკე** გიორგი. წმ. ანნის მესამე ხარისხის ხმლით და ბანტით თ-დი **ლიონიძე** იური და **ბახუტაშვილი**, წმ. სტანისლავის 2 ხარისხის ხმლით **ბუკია** ვასილი, წმ. მოციქულთა სწორის თ-დ ვლადიმირის 4 ხარისხით პოლკ. **ქორქაშვილი** მიხეილი.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(დრო აღნიშნულია [illegible] არის
[illegible])

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

თბილისიდან გადის:

თბილისიდან . . .	8 ს.	13 წ.	დილ.
ნავთლუღ-ამიერ-კავ. .	8 „	40 „	„
ნავთლუღ-კახეთ. . .	8 „	58 „	„
ვაზიანიდან . . .	10 „	06 „	„
ივრიდან	21 „	15 „	„
საგარეჯოდან . . .	11 „	58 „	„
ბადიაურიდან . . .	12 „	56 „	„
მელაანიდან . . .	2 ს.	16 წ.	სად.
გურჯაანიდან . . .	3 „	37 „	„
კარდენახიდან . . .	4 „	12 „	„
წნორის-წყალზე . .	4 „	44 „	„

გურჯაანიდან-თელავამდე № 7.

გურჯაანიდან . . .	3 ს.	42 წ.	სად.
ვაჩნაძიანიდან . . .	4 „	33 „	„
თელავში	5 „	27 „	„

თბილისისკენ მოდის:

წნორის-წყლიდან . .	8 ს.	58 წ.	დილ.
კარდანახიდან . . .	9 „	41 „	„
გურჯაანიდან . . .	10 ,	24 „	„
მელაანიდან . . .	11 „	39 „	„
ბადიაურიდან . . .	12 „	59 „	დღ.
საგარეჯოდან . . .	2 „	80 „	„
ივრიდან	2 „	50 „	„
ვაზიანიდან . . .	3 „	55 „	„
ნავთლუღ-კახეთ. . .	4 „	58 „	„
ნავთლუღ-ამიერ-კავ. .	5 „	13 „	„
თბილისში , . . .	5 „	28 „	„

თელავიდან-გურჯაანამდე № 8.

თელავიდან . . .	8 ს.	54 წ.	დილ.
ვაჩნაძიანიდან . . .	9 „	25 „	„
გურჯაანში . . .	10 „	07 „	„

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3 ბაქოდან . . .	12 ს.	54 წ.	დღ.
№ 4 ბათომიდან . .	5 ს.	55 წ.	სად.
№ 5 ბაქოდან (სწრაფი)	7 ს.	41 წ.	სად.
№ 10 ბათომიდან. .	9 ს.	51 წ.	დილ.
ჯულფიდან. .	6 ს.	53 წ.	დილ.
ბორჯომიდან .	7 ს.	25 წ.	დილ

თბილისიდან გადის:

№ 3 ბათომისკენ . .	1 ს.	45 წ.	დღ.
№ 4 ბაქოსკენ . .	7 ს.	3 წ.	სად.
№ 6 ბაქოს (სწრაფი)	12 ს.	8 წ.	დღ.
№ 9 ბათომისკენ . .	8 ს.	53 წ.	სად.
ჯულფისკენ .	10 ს.	23 წ.	სად
ბორჯომისკენ	3 ს.	29 წ.	დღ.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის
კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის
პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა
25—21

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი
„განათლება“
(წელიწადი მერვე)
წლიურად ღირს **ოთხი** მანეთი, სოფლის მასწავლებლებისა და სამკითხველოებისათვის—**სამი** მანეთი.
მისამართი: თბილისი ქართული გიმნაზია.
P. S. საჭიროა გამოცდილი და დახელოვნებული ასოთ-ამწყობი, რომელსაც მიეცემა თვიურად რიგიანი ჯამაგირი.
რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

მეხილეთა ამხანაგობა
„ქართლი“
„ქართლის“ კოოპერატიულ მაღაზიაში (ძველი სემინარიის შენობა) ყოველდღე ჩამოდის ახალი ხილი ამხანაგობის წევრებისაგან. მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ ყოველნაირი ხილი იაფად. წ.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეწველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.
ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით**“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ძსწრაფ-მბეჭდავი სტამბა სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ. № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან